ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7218366

ნომერი: AR11055186

თარიღი : 27.08.2024

გაცემის თარიღი : 17.09.2024

გაცნობის თარიღი : 18.09.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , შესახვევი N13-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ მერებაშვილი პ/ნ 01001040969
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 11, ბინა 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის №6969750 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 27 აგვისტოს №AR11055186 განცხადებით მომართა მიხეილ მერებაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის

05 აპრილის №6969750 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის №6969750 ბრძანებით №01.10.06.001.294 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 05 აპრილიდან 2027 წლის 05 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის №6969750 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის შპს „აპკო დიღომის“ (ს/ნ: 405705429) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882024807472, მომზადების თარიღი: 05/06/2024 წ.) თანახმად, №01.10.06.001.294 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს შპს „აპკო დიღომი“ (ს/ნ: 405705429).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24071596, მომზადების თარიღი: 05/06/2024წ.) შპს „აპკო დიღომის“ (ს/ნ: 405705429) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მიხეილ მერებაშვილი (პ/ნ: 01001040969) შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით №01.10.06.001.294 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აპკო დიღომი“ (ს/ნ: 405705429), რომლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მიხეილ მერებაშვილი (პ/ნ: 01001040969), თავად მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2024 წლის 05 აპრილის №6969750 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „აპკო დიღომის“ (ს/ნ: 405705429) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის №6969750 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „ბლოქსი თავდადებულზეს“ (ს/ნ: 405626997) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „აპკო დიღომი“ (ს/ნ: 405705429).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის №6969750 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის №6969750 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.